

ქართული

ტუილისში „დროშის“ რედაქციის კანტორაში, მედიკინის
ლის და კაპ. სტამბაში, ზალოვინის პროსპექტზედ, რეიტერის
სახლში.

ტუილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: Вь Тифлисъ. Вь
контору редакциі грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **ზანცხადება**
სხვა და სხვა ენაზედ. უსი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-
ბრივის ასოებით გაზთვის სტრაქონზედ 8 კაპ.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

ს ა ვ რ ლ ი ტ ი კ რ ო ა ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო

გაზეთის „**დროუბის**“ გამოცემაზე
1867 წელს.

ბაზეთი „ღრმება“ 1867 წელს გამოვა იმავე შიშართულებით და იმავე რიგით, როგორც გამოდიოდა 1866 წელს.

„**დროშა**“ უწინდელათვე გამოცემაში ერთხელ, პარასკევობით, ერთის თაბახიღამ თაბახ ნახევრადი.

წასი მთელის წლის ნუშრებისა არის: გაუზგაენელათ ტფილისში 6 მანეთი, გაზგა-
ნით ტფილისში და გარეშე ადგილებში 7 მანეთი.

მახელოვანებმა და მწერებმა შექმნეს მრავალი ნაწარმი, რომელიც იმყოფება მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში, ბალაიანის პროსპექტზე, რეიტერის სახლში. მწერების გარეშე მსოფრთვეთ ეთხოვეთ უპროჩიილესათ, რომ თავიანთი მ.ახოვანილი-ბა გამოგზავნონ ხოლმე ამ აღრესით:

Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К^о.

ბითის ჩვენი წყალობით თქვენდამი კეთილ-მადრიკილი.	ტფილისი. 31 დეკემბერს შუადღეს წინააღმდეგობის განკარგულებისამებრ სასახლე
---	---

ნამდვილზედ საკუთარი მისის იმპერატორ-
ბის უდიდებულისობის ხელით მოწერილია: გამოცხადდნენ ახლად ამორჩეული ქალაქ-
თაი, გენარალ-მაიორი არწრუნი, ქალაქ

„აღმკსანდრე.“
სან კრეტიკობორდი.

23 ნოემბერს 1863 წ. ზრუნველობისა, საკვარტირო კამისიისა, სააღ

ბუილისი. 31 დეკემბრის შუადღეს წინათ, უწყებულის განკარგულებისამებრ სასახლეში გამოცხადდნენ ახლად ამორჩეული ქალაქის თავი, გენარალ-მაიორი არწრუნი, ქალაქის საზოგადო კრების ხმოვანი, ქალაქის გამგე მმართველობის წევრი, წევრი ქალაქის სამ-ზრუნველობისა, სკვარტირო კამისიისა, საუკ-

საძღვებელია კაცს გოლვიანი წელიწადი და-
უდგეს, მაგრამ ესეც იმის შრომაზედ არის და-
მოკიდებული. იმას შეუძლიან წყლის მისაშ-
ვები ჩარხები ააბრუნოს და თავის სახანა-სა-
თესსა სისველე არ მოაკლოს. თან-და-თან
შრომის მომატებით ნაწარმოებიც მრავლდ-
ება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კარგი
მშრომელი, კარგი შეძნაბილი არის.

თუ მშრომელი კარგი შემნახავი არ არის იმისი ჯაფა სრულდება უნაყოფოთ ჩაიგლის მთქვით ამ წელიწადს იმან ბევრი ნაწარმოებზე შეკრიბა; მაგრამ წლის გასულს რომ რაღაც მთელს წელში იზოვნა, ერთ დღეს გაფანტოს, ამისთანა მოქმედებითაც სრულებით არ გამოდნება. ამისთანა მოქმედება უფროსაინებოც არის. ეს იმას ემზავსება, რომ მთელი წელიწადი კაცმა სულ ჯაფაში და წვალებაში გაატაროს და მეორე წელს კი კუჭისეც ცარიელი გაჰყვეს. მიუტილებლად აგვარს კაცს იმ მეორე წელში სიკვდილი ეწე

ვევა, თუ ვინმე საზრდო ჰური არ მისცა
ამისგანა ყოველი კაცის ღანძრულდება არი
შრომა და შრომის ნაყოფის კარგი შენახვა
როგორც ზემოთ ვთქვეთ, ბევრი შრომა ბე
ერს საზრდოსაც აძლევს და კარგი შენახვ
ერთს ნაწილს მონაგებისას გადანარჩუნებს
ძაცმა რომ წელიწადში სამასი მანეთი იშოვ
ნოს, წლის გასულს სამჯერ ათი მანეთი მიწ
უნდა გადაარჩინოს. მინც თავის ნაწარმოებ
სრული პატრონია, მეთედის გადანარჩუნება
ძალიან ცოტაა; მაგრამ ასე ცოტ-ცოტა მო
გროვითაც დარიგინი შრომითაც კი შეიძლება
რომ ბოლოს ფული გაჩნდეს. თუ კაცს ფუ
ლი აქვს, კარგს ხელსაწყოსაც მოიპოვებ
რასაც ერთი კვერი ერთსთევს გაღწევის, იმა
მაშინის საღებავი ერთ დღეს არ მოუხდებ
ამისთანა ხელსაწყოს შეძენით კაცის ნაწარ
მოებიც ერთი ათად იქცევა. ამის გამო კაც
იც წინანდელზედ ათჯერ უფრო მდიდარ
ჰდება. როდესაც ამ გვარათ ყოველი კაც
წარმატებაშია, მაშინ მთელი ხალხიც უფრო
მდიდარია, მიტომ რომ საზოგადო საქმეობა

ქოკამერის მმართველი, აუკციონისტები, ქალაქის ნაფიცნი დამფასებელნი, კეთილ სინდისიანნი მოწმენი, რომელნიც დაესწრებოან ქონების საყოველთაოთ გასყიდვის დროს და ამასგარდა ყველა ის პირები, რომლებიც ქალაქის წოდებებმა ამოირჩიეს სასამართლოებში წევრებათ და მდივანგებათ. პეულანი, ვინც კი შეკრბენ სასახლეში თავიანთ თანამდებობისამებრ, რიგ-რიგათ დაამწყრიეებს. პირველის საათის ნახევარზედ შეგუუსტესი პეკასიის ნამესტნიკი ზალაში გამოვიდა. მისი შშაღლესობა მხიარულად მიეგება შეკრბილებას და მოწყაღე სიტყეებით უთხრა, რომ ხელმწიფე იმპერატორი მუდამ წყალობის თეაღლით უყურებსო ტფილისის ქალაქს და თეითონ მისი შშაღლესობაც აგრეთეე მოწყაღეა: ამას ნათლად ამტკიცებსო თეითონ ის სიმართლენი, რომლებიც ქალაქს მიენიჭა და რომლებიც მცხოვრებლების წარმომადგენელებს შეაძლებინებს, რომ იმათ ტფილისის წარმატებისათეის იზრუნონ; აღგილობრივი უფლება, რაც კი იმისგან შესაძლებელი იქენება, ყოველს ღონისძიებას მოახმარსო ამ განზრახვის ასასრულებლათ და ჩემის მხრით,

ბისთვის ყოველი კაცი უფრო ბევრს ფულს გამოიღებს. სიმდიდრეს კუთა გონების გახსნა და სწავლის შემატება მოსდევს. ამას რაღა კითხვა უნდა, რომ ვისაც ბევრი ფული აქვს, ის უფრო ბევრს დახარჯავს თავის შვილების გასაზოგადოდ, ის საუკეთესო მასწავლებლებს უშოვნის თავის შვილებსა. იქნება ბევრი მკითხველი ამაში წინააღმდეგი გახდეს, სთქვა, რომ ჩვენში მდიდარი კაცის შვილები უფრო ვერ გამოდიანო კარგები, მაგრამ ეს ტყუილია. მდიდარი კაცი იმას არა ჰქვიან, რომელიც თავის ნაწარმოებს არ ამრავლებს. ამისთანა გვამებს დღეს რომ აქეთ, ხელო იქნება ულუკმა პუროთაც დარჩენენ. ამისთანა ოჯახის ექვს თვითონ თავისი სახლობა ახდენს. იმის სახლობაში ყველანი უსაქმოთ ზიანს ყველანი ღებინაში და შექცევაში ატარებენ თავის ცხოვრებას. ამის შემხედვით ყმაწვილი თან-და-თან მიეჩევეს უსაქმოებას, გაირობება და სწავლაზედ დიდს ყურადღებას არ მიაქცევს. — უსწავლელობაც ბევრი მკენებია. ყმაწვილი ჰფიქრობს, და ცხოვრებაშიაც გარეწარი იქნება. რაცა აქვს, მიფლანგ-მოფლანგავს, ყოვლის ფერი ეალში ეყიდება და ბოლოს იმისთანა ღარიბი არავინ იქნება. მე როგორში ანგლიასთანა მდიდარი ქვეყანა არ არის. იმისთანა განათლებული და წარმატებული ცხოვრებაც არავინ აქვს. იმ ქვეყანაში თითო კაცები რომ აიღოთ, იმითთანა გამოჯელი და თავდარიგის დამკერა სხვაგან იშვიათად მოიძებნება. იქ თითოეული კაცი დიდი მშრომელი და მომგები ამისგამო მთელი ხალხიც ძალიან მდიდარი და განათლებულია. პქედამ სჩანს, რომ კაცთა თვის კეთილ მდგომარეობისთვის და საზოგადოთ ხალხის წარმატებისთვის ეს ორი თვისება უნდა სჭირდეს: მუდღადადგრომილი შრომა და ნაწარმოების კარგი შენახვა. როდესაც იმას ეს ორი თვისება სჭირს, მაშინ ის განმდიდრებასაც ადვილათ შეიძლებს. მუ ყოველი კაცი მდიდარი, მაშინ მთელი ხალხი საერთო გამოანადგობთაც უფრო ბევრს საშუალებას

ბუღება. ამისთანა შრომით ის მთელის ტა-
ნის სიცოცხლეს ხელს წარუშაბრათეს. როდეს-
საც ის თავის ცხოვრების წრეს სრულად გაი-
ვლის, კვდება და გარეთ გამოდის. მუ რომ
ყველა ნაწილები ამ ერთ ნაწილსავე რიგი-
ანად ასრულებენ თავის დანიშნულებას, მა-
შინ თვითონ ტანიც სიმრთელით არის და
სტკბება უსწეულო ცხოვრებითა.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ კაცმა მცირედი რამ საწამლაი მიიღო. რამდენსამე ხანს შემდეგ ამ საწამლაის ნაწილები მიუცილებლად კუჭიდან სისხლში გადაეღწენ; სისხლის ნაკადული კი მკედარი ნაწილების მაგივრად დასტოვებს ტანში ამ საწამლაის ნაწილებს. შოველი ამგვარი ნაწილი ტანისთვის მავნებელია. ის ტანს იმიითი ავნებს, რომ სხვა მართელს ნაწილებს უდროვანოთ მოჰკლავს და იმათს დანიშნულებას აღარ აასრულებინებს. ამგვარად წამლის ნაწილები სხეულში იარსებაჩენენ.

მართი ნაწილი ასს მარგებელს ნაწილს მო-
წაზღავს და გადასცემს იმათ თავისს მიენე-
ბელს თვისებას, რომ მოწამლოულმა ნაწილებ-
მა კიდევ სხვანი გააფუჟონ. იარა სხეულში
თანდათან ვრცელდება, მთელს ტანს მოიფ-
ლის და ბოლოს კიდევ მოჰკლავს და დაშ-
ლის.

(რა დანიშნულებაც ერის ნაწილს ტანში აქვს, იგივე დანიშნულება ერთს კაცს ხალხში აქვს და (უფრო ვრცლად რომ ვთქვათ) კაცობრიობაში აქვს. როდესაც ყოველი კაცი ნაყოფიერად შრომობს თავის სიცოცხლეში, მაშინ მთელი ხალხიც წარმატებით ცხოვრებს. მეორე რამდენათაც ბევრს შრომობს, იმდენათ უფრო ბევრს ნაყოფს იძენს. ჩვენ იმას შრომას არ დავარქმევთ, რომ ვთქვათ კაცმა მთელს თავის სიცოცხლეში წერაქვე უნაყოფოდ კლდეს უკაუნოს. ჩვენ იმას შრომას არ ვეძახით, საიდანაც ნაყოფი არ გამოვა. უფრო გამოარკვევით ვიტყვი: კაცი რამდენათაც უფრო ბევრს მიწას შეიმუშავებს, იმდენათ ბევრს მოსავალსაც მოჰკრებს. შე-

შინაარსი: მმართველობის განკარგულება: შიშველი გრამატიკა. — ტფილისი. — პოლიტიკა: პნგლია, პანდია, სპერძნევი, იტალია. — ტელეგრაფები. — სალიტერატურო ნაწილი: ისტორია სიუჟისა, შედგენილი სტეფანე მარტვილიანისაგან. — შედეგტონი: ძველის წლის ნაჟფი და ახალ-წლის კორპები. — სახაზინო განცხადება.

მმართველობის განკარგულება.

უმაღლესი გზამკვლევი.

მჩმიაწინის შზენაესს პატრიარქს და ყველა
სომხების კათოლიკოსს, გეგორგს.

ნიშნად ჩვენის ყურადღებისა სომხის ხალ-
ხისადმი, რომელმაც თქვენ ამოგირჩიათ მ-
ნიაწინის უზენაესს პატრიარქათ და ყველა
სომხების კათოლიკოსათ, და გამოასცხადებ-
ლათ განსაკუთრებით ჩვენის თქვენდამი კე-
თილ მიღრეკილებისა, ჩვენ შეგრიცხეთ თქვენ
ჩვენის წმინდის ძეთილ-მორწმუნის, დიდის მთა-
ერის ალექსანდრე ნეველისა საიმპერატორო
ოზრდენის კავალერი, ამ ოზრდენის ნიშნებს ამას-
თანავე გიგზავნით და ვეგებთ იმპერატორე-

ქველის წლის ნაყოფი და ახალ-წლის
კოკრები.

მეც ახალი წელი! ყოველს ახალწლის და-
მდევს ყველანი ერთი ერთმანერთს სიხარულით
ეულოცავენ ხოლმე „ღმერთმა მრავალს ახა-
ლწელიწადს დაგასწოროთ“; მაგრამ თუ ამ სი-
ტყეებს კარგათ დავაკვირდით, ეს მოლოცვა
დიდათ აღარ გვახარებს. ჰოველი ახალ-წელი
წადი უმატებს ჩვენს ხნიერებას. ახალწლის
დადგომით ჩვენი სიცოცხლე ერთს მოკლე
ნაბიჯს საფლავისკენ გადადგამს ხოლმე. მარ-
ტმა რომაელმა პოეტმა სიტყვა, „რაც გუშინ
ეყოფილვართ, დღეს ის აღარა ეართ.“ ღრ-
ოსა და ღროს გამოვლით ჩვენი ტანი თან-
და-თან იცვლება. ჰოველს წამს ათასი ნაწილი
ჩვენი ტანისა კვდება, ხეულისთვის აღარე-
ზგა, ტანს შორდება და სისხლის ნაკადული
გარეთ გამოაქვს. იმათ მაგიერ ათასს ახალი
ნაწილს სისხლი ისევ ტანს უბრუნებს და და-
სტოვებს იმავე ადგილებზედ, რომლებსაც
ძველი ნაწილები მოშორებოან. ამსახით ყო-
ველს საათს და ყოველს წამს არის ტანს ში-
გნით გაუსხლეტელი მუშაობა: ახალი მოდის
ძველი კვდება და ტანს შორდება. ამ მუდამ
ცვლილებაში ჩვენი შინა-აგებულებაც ცვდება
იმავე გვარად, როგორც ყოველი ნივთი ხდე-
ბა მუდამ ხმარებაში. სიცოცხლის ბორბალი
თანდათან აკლებს ბრუნვას და ბოლოს კი
დღე გაჩერდება: ტანი მეტის-მეტის გაცეით
გამო ევლარ იმუშავენს და საუკუნოდ დადგე-
ბა. ამას ჩვენ სიკვდილს ვეძახით. ამ აზრით
ყოველი ახალი წელიწადი სამარეს გვიახლო-
ვებს. მაშ ახალწლის დადგომა სასიხარულო
კი არა სატირალი უნდა იყოს. — ზოგისთვის
ღიბს სატირალია, ზოგისთვის კი სასიხარულო

წარმოვიდგინოთ, რომ ტანი მილიონ პა-
ტარა ნაწილებისგან არის შემდგარი. ძალიან
ტანში ყოველს ნაწილს თავისი დანიშნულება
აქვს. ის რამოდენსამე ხანს უნდა მსახურობ-
დეს მთელს აგებულებას. იმან უნდა იზრო-
მოს რამდენიც რიგია, განწყისებულს ცადამდი-
უნდა სინდისიანათ აასრულოს თავის დანიშ-

როგორც აქამოდ, შემდეგაც აგრეთვე გულისხმობს ყურადღებით თვალს დადევნებო ქალაქის სამმართველოს წარმადგენლობის მოქმედებაზე, რომელიც სჯულსა და უმალესად დამტკიცებულ წეს-დებებს არ გადასცილდება, რადგანაც ის მისცემს მუდამ შემწევობას და წახალისებას.

ამ მოწყალე სიტყვებზე, რომლითაც მისი უმალესობა მიიქცა ტფილისის ქალაქის მცხოვრებლების წარმომადგენლებისკენ ქალაქის თავმა გენერალ-მაიორმა არწრუნმა ამწერად უბასუხა.

„თქვენო იმპერატორების უმალესობა! მოწყალე სიტყვები და ღარიგება თქვენი, რომლითაც გავგებდნენ ჩვენთვის მუდამ პატიოსან ხელსამძღვანელოდ დარჩებიან. ახლა თქვენმიერ დამტკიცებულ ქალაქის მმართველობის ახალს შედგენილებას ნება მიეცით, რომ თქვენის უფლებების გავის წინაშე ტფილისის მაგიერ მოწიწებით მადლობა შეგვამოწმონ იმ წეს-დების მინიჭებისთვის, რომელიც იმას თვით-გამგებობას აძლევს.

„ნახევარ საუკუნეზედ მეტია, რაც კეთილმოქმედმა, წმინდა რუსეთმა თავის მფარველობის ქვეშ მიიღო და ანუგეზა მწუხარე ტფილისი. იმან გამოიყენა ის წყვილადის სიბნელიდან, თან-და-თან მალა ასწია და განათა; თავის საუკეთესო დიდებულს გვამებს გამგეთ უზაწინადა და ბოლოს მეტის მოწყალებით ჩვენი სვე თავის პორფიროსანს შეიღო თქვენ იმპერატორების უმალესობას მიანდო. ხელმწიფე იმპერატორის მოწყალებით ტფილისის ურცხვად მოველინა; მისდამი ერთგულ ქვეშევრდომობით გრძნობას და მადლობას საზღვარი არა აქვს.

„სულგრძელმა თქვენმა მზრუნველობამ აქამოდ ტფილისის ბევრი კეთილი მიანიჭა;

დღეს თქვენ იმას აძლევთ სიმართლეს, რომ თავისი საქმეები თვითონვე განაგოს, და ამითი შეიძლოს წინაგების, განების და ნივთიერის თავის ღონის წარმატება; ხელო, თქვენისვე ბრძანებით, ქალაქს შავი ზღვარკინის გზით შეუერთდება; ზევ იგივე გზა მწაწვეს ძასიამდის და თქვენ, როგორც ძლიერი გამგება, ნიშნავთ ტფილისის უზაგულ რგოლათ იმ სავაჭრო ოქროს ჯაჭვისა, რომელიც შეაერთებს ტემზის და სენის კიდეებს ინდის და მალაბრის კიდეებთან.

„ტფილისი გულის სიღრმით გრძნობს ახლანდელს თავის კეთილ მდგომარეობას და აღტაცებით უყურებს თავის მომავალს ბრწყინვალე დანიშნულებას.

„ტფილესელები მალა ღმერთს სწირენ თქვენის უფლებების გავისთვის, უფლებების დიდის მთავრინათვის და თქვენის შეიღებისთვის ლოცვა-კურთხევას“.

ხელმწიფე მადამ მთავარმა მოწყალებით მიიღო ქალაქის მცხოვრებლების გამოთქმული გრძნობა. ახლად ამორჩეულს ქალაქის თავს, რომელიც პირველად გამოცხადდა ქალაქის მცხოვრებლების წარმომადგენლად, მადამ მთავარმა უბასუხა, რომ თუმცა ძალიან ძნელათ საიმედოა ტფილისის მომავალი ბრწყინვალე დანიშნულება ისე მალე გამართლდეს, როგორც შემოხსენებულს სიტყვაში წარმოთქმულია, მაგრამ ჩემის მხრით განსაკუთრებით თანაგრძნობით შევეწეო ყოველს საქმეს, რაც კი ტფილისის ქალაქის კეთილ-მდგომარეობას დაამკვიდრებს და ხელს წარუშარბავს, რადგანაც ამ ქალაქის სვე ჩემთვის ძვირფასია.

შემდეგ მისი იმპერატორების უმალესობის ნებით ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორმა წარუდგინა ხელმწიფეს მადამ მთავარს

რეთვე ზარალს აძლევს მთელს საზოგადოებას, რადგანაც იმას შემწე პირს უღარიბებს.

მაგრამ ეს ორი დიდი ზარალი ამით კიდევ არ თავდება. ძალი, რომელიც მხოლოდ სხვის მონაგებს შეჩერებია, თვითონ ჯაფას არ ეწევა და მართა სხვისი მონაგები კი იმის ცხოვრებისთვის არ კმარა. ამის გამო თავის თავით ერთს ღარიბს კიდევ უმატებს საზოგადოებას. თვითონ რომ არა აქვს, საზოგადოებას რას მისცემს. ცხოვრებაში კი ხშირად მოხდება, რომ ეინც არ მუშაობს, ის საზოგადოებას არაფერს აძლევს. ამ სახით ნების-რად მცხოვრები კაცი ოთხეცს ზარალს შეეზება. ის თავის გაურჯელობით აღარბებს თავის თავს და იმ კაცს, რომლისაგანაც თავს ირჩენს. აგრეთვე ხალხსაც ორეცს ზარალს აძლევს, რადგანაც იმას ორ ღარიბს კაცს შეიძინებს, რომლებიც თავიანთ სიღარიბის გამო საზოგადოებას ცოტას აძლევენ და იმდენს არა, რამდენსაც საზოგადო საჭიროება ითხოვს. ამ შემთხვევაში შრომის მოყვარე კაცი ჰგავს ტანის ნაწილს, რომელიც თავის სასარგებლო შრომით სხეულის სიცოცხლეს ეწევა. რომელი კაციც არა შრომობს, ის იმ მომწამვლელს ნაწილს მიემგზავს, რომელიც ტანში იარას აჩენს. უსაქმური კაცი იმისთანავე იარას დაჰბადებს ხალხის ცხოვრებაში, როგორც ტანში საწამლედი. რამდენათ უფრო ბევრი მენებელი ნაწილი შეეკაცის ტანში, იმდენათ უფრო დიდდება შინაგანი იარა და ბოლოს სხეული იმითი კიდევ მოკდება. აგრეთვე რამდენათ უფრო ბევრი უსაქმური კაცი ხალხში იბადება, იმდენათ შრომის ნაყოფი მცირდება და საქმელი პური ყველას აღარ ყოფნის. ხალხი თან და თან ღარიბდება, იმშევა და დევნება... ..

ძველათ აღმოსავლეთში ბევრი განათლებული ხალხი ცხოვრებულა, შემდეგ ამ ხალხების მეტი ნაწილი გაქრა. იქ საცა ძველი ასირიელი და ძველი ბაბილონელი სიერნობდა, ახლა თურქსა და სპარსელს გაუჭმავს თავისი სახლ-კარი და ბაბილონის

ძაგასიის ნამესტნიკს ქალაქის საზოგადო კრების ხმადანები და ყველა თანამდებობის პირები, რომლებსაც მისმა უმალესობამ მიულოცა საქალაქო სამსახურში ამორჩევა და იმედი გამოაცხადა, რომ ისინი ყოველს ღონის ძიებას მოიხმარებენ, რომ თავის თანამოქალაქეების რწმუნება გაამართლონ, და შემდეგ ყველას გამოეთხოვა.

„ძაგასიადამ“.

პოლიტიკა.

ანგლია. ზაფთი Globe ამტკიცებს, რომ აღმოსავლეთის საქმის მიმდინარეობა სასაშიშროა; ერთის მხრით ძანდია ჯერ არ დამყიდებულა, და მეორეს მხრით შესაძლებელია, რომ ასტყდეს ომი საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის. ჩვენი მკითხველები შეიტყობენ ამ ზაფთიდან, რომ ლონდონში შესდგა კამიტეტი კანდიდების შესაწევნელად; მაგრამ გარდა ამისა დაწესდა სხვა კამიტეტი სიტში, რომლის წევრებაც არიან მდიდარი ნეგოციანტები და ბანკირები. ამ კამიტეტმა ათის დღის განმავლობაში შეაგროვა კანდიდების სასარგებლოდ 7-დი ათასი გირვანქა სტერლინგი. შულების შეწირვა ჯერაც არ შეჩერებულა. რა საკვირველია ბერძნების მდიდარმა მოვაჭრეებმა უფრომომეტებელი შესწირეს. ამ კამიტეტმა გამოაცხადა, რომ ამ შემთხვევაში ის აღმოუჩენს ბერძნებს კაცთ-მოყვარეობას და თანაგრძნობას, რომ იმას ამ საქმეში არა ვითარი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი განზრახვა არა აქვს. ხმა არის, რომ ძანდიადამ მორეაში გადასახლდნენ ათი ათასამდე ქალი, ყმაწილი და კაცები, რომლებსაც არა ვითარი მონაწილეობა არა ჰქონდათ არეულობაში; ისინი გადასახლდნენ იმისთვის, რომ სულელები მიიწი გდა-

ირჩინონ ოსმალეებისგან, რომლებმაც იმართ სახლები და საცხოვრებელი სრულებით აიკლეს. სხვა და სხვა ბერძნების საზოგადოებაში ლონდონში შესწირეს 300, 200, 150 და 100 გირვანქა სტერლინგი. — დიდი ხანი არ არის, რაც ერთ ადგილას ანგლიაში ქვა-ნაშხირის მოჭრის დროს მრავალი მუშები დაიღუპნენ. ახლა ფული იკრთება იმათის ცოლ-შვილისთვის. შეგროვდა 10,800 გირვანქა სტერლინგი; ამ რიცხვში 128 გირვანქა სტერლინგი მოგროვდა ეკლესიებში შობის დღესასწაულების დროს.

ძანდია. ლონდონში იოსებ ძორტრაიტმა გამოსცა ბროშურა, რომელსაც ეწოდება: „ძანდიის ადგომა და ჩვენი პრესისა“ და რომელშიაც არის შემდეგი შესაწავნავი ცნობები.

ძანდია ოსმალეებს დაემორჩილა 6 სექტემბერს 1669 წელს, შემდეგ ოც და ხუთის წლის ბრძოლისა; ამ დროს განმავლობაში ევანგიელებმა ორჯელ დაამხვეს ოსმალეთის ფლოტი. თავისუფლების დაკარგვით ძანდიამ დაკარგა თავისი კეთილ-დღეობა, თავისი სენატი, ერთი სიტყვით, ყოველივე, რითაც ის იყო შემკული, როგორათაც მენეციის კალონია. ძუნძული დაიკალა; თითქმის ყველა შემძლე მოსახლეები გავიდნენ და დაესახლნენ უფრო იონიის კუნძულებზედ, რომელიც მაშინ ევანგიელებს ეკუთვნოდა. ძანდიის მცხოვრებთ რიცხვი უწინ იყო 700 ათასამდე; ოსმალეების დროს ის შემცირდა 250 ათასამდე, — იმათში ირიცხებოდა 200 ათასი ქრისტიანი, 50 ათასი მაჰმადიანი. მს ციფრები ცხადათ გეგმტკიცებს, რა თვისება ჰქონდა ოსმალის მმართველობას. სადაც ამ ხალხმა ფეხი შესდგა, იქ ხალხის კეთილ-დღეობა გაუქმდა, აღებ-მიცემობა დაეცა და უზედურთ

მოაგროვებს, რომ ქვეყნის საჭიროებაც უფრო კარგათ დაკმაყოფილოს.

ამ შემთხვევაში მთელი ხალხიც უკეთესს ცხოვრებაშია. მაშ ხალხის ბედნიერება და უზედურება თითოეულს პირზედ ყოფილა დამოკიდებული. ამაში ეჭვი არ არის.

ძალი, რომელიც სინდისიანათ ასრულებს თავის დანიშნულებას ორს დიდს კეთილს საქმეს შეტება. ერთი რომ თვითონ გაუჭირვებლად ცხოვრებს, მეორე რომ ქვეყანას ეწევა, რადგანაც ქვეყნის საჭიროებისთვის მომეტებული ფულს სწირავს.

ახლა წარმოვიდგინოთ ხალხში იმისთანა გვამი, რომელიც ზემოთ მოხსენებულს დანიშნულებას არ ასრულებს. ამისთანა კაცები ჩვენში ბევრია. მთქვამთ ერთი კაცი არ შრომობს: — არ ხნავს, არ თესავს, არ ვაჭრობს; არა ვითარს სასარგებლო მოხელობას არ ასრულებს და არც საზოგადო სამსახურშია. მთქვამთ ის ზის სახლში; ზამთარ და ზაფხულ თავის გასართობლათ ნადირობს; თუ შემთხვევა მიეცა, არც ლხინსა და არც ჭირს აკლდება. ამისთანა კაცს უნდა ცხოვრება, უნდა პური, ღვინო და ფული. რადგანაც ესეები შრომის ნაყოფია და თვითონ არ შრომობს, ამისთვის იმან როგორმე სხვის ნაშრომით უნდა იცხოვროს. მაშ ეს სხვა გვამი, რამდენიც შეიძლო, იმდენს მონაგებს ვეღარ მოაგროვებს. იმისი ნაწარმოები იმ ზემოხსენებულს კაცს მიაქვს, რომელიც არ შრომობს. ამსახით თვითონ შრომმელო თავის ნახევარს ჯაფას ტყუილათ ჰკარგავს. ის ვეღარ შეიძლებს თავის ცხოვრების გაუმჯობესობას, რადგანაც მონაგებს ხელში ვერ იმაგრებს. ამისგამო ხალხის საჭიროებისთვის ეს პირი ვეღარ სწირავს იმდენს ფულსა, რამდენიც რიგი იყო. ამ შემთხვევაში საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად ხალხსაც უმცირდება ღონისძიება. მაშასადამე კაცი, რომელიც თვითონ არ შრომობს, ორს დიდს ზარალს შეეზება. ის აზარალებს იმ კაცს, რომლის მონაგებიც თავის საცხოვრებლად მიაქვს და აგ-

ქალაქის მცირედი ნაქცევი თუ მოგვაგონებს ბრწყინვალე ნახუქოდანოსორის ოდესმე მეფობას, თორემ იმ არგმარეზედ სხვა კი არა ფერი. ამ ხალხების გაქრობის მიზეზი ნეტავ რა იყო? — შთაბერისი მიზეზი კუჭის ცარიელობა იყო. მთელი ხალხის ნაწარმოები რამოდენისამე პირის ხელში ეარდებოდა. ისინი ხარჯისა და გარყენილს ცხოვრების მეტს არას აკეთებდნენ. შმრავლეს ნაწილს კი შიმშილით კუჭი ეწვოდა. ხალხის უმეტესმა ნაწილმა მუცელი რომ ვეღარ გაიძლო, თან და თან მისუსტდა. ამ დროს ველური ხალხი იმათ თავს გადაელაჯა და ისინი თავის სიმძიმის ქვეშ ამოსრისა.

აქედამ ნათლად სჩანს, რომ შრომაზედ გულ აცრუებებს ყოველთვის ცუდი ბოლო აქვს ხალხის ცხოვრებისათვის; თუ ხალხში ყოველი კაცი კარგი მშრომელია და თავის ნაწარმოების რიგვანი მომხმარებელი, მაშინ, როგორც ცალკე პირების, ისე მთელი საზოგადოების კეთილდღეობაც თან და თან მატულობს.

ძალის სიცოცხლე ძალიან მოკლეა. სულ რომ ბევრი ვთქვათ, კაცი სამოცს ახალწელიწადს თუ გაატარებს ამ სოფლად თითქმის მეტს ვეღარ. ახლანდელს დროში ოთხმოცისა და ასი წლის კაცი ძალიან ძვირად იზოვება. უფრო ხშირათ ორმოცსა და ორმოცდაათ წელს არ გადასცილდებიან. ნეტაი ცხოვრების წრე მიიწი დიდი იყოს, რომ რამდენიმე ხანი უღარდელად გავატაროთ და დანარჩენი შრომას შევეწიროდ. აქვნიდამ ხუთმეტს წლამდის კაცი მოუხმარებელია. ამ დრომდის იმას საქმის კეთება არ შეუძლიან. მაშ რაღა დარჩა? ბევრი, ბევრი ოცდა ათი ან ოცდა ხუთმეტი წელი. ამ ხნის ნახევარიც ძილში გვეკარგება. ბოლოს, ხუთმეტი წელია ჩვენი შრომის წრე. მს ხანი ისე ჩქარა გარბის, რომ იტყვიან, თვალის დახმამებასაც ვერ მოასწრებ, სიბერე შამოგვსწრება. ამა ეს მოკლე ხანიც რომ უღარდელათ ეატაროთ,

შრომა როდისღა გავსწიოთ? — ცხოვრებაში ხშირად შევხვდებით ხოლმე იმისთანა მოხუცებულს, რომლის სახესაც მწუხარების კვალი ღრმად აჩნია. მის არ მოუხმენია იმისი მძიმე ამოახერა. ამ ოხერაში ისმის მწუხარე გლოვა დაკარგულს ყმაწილობაზედ. იმას თვალის წინ ხშირად უდგას წარსული ცხოვრების სურათი და ამ სურათში ის ვერ ჰპოვებს იმისთანა მოქმედებას, რომელსაც შეძლებოდა იმის სახელი კარგის ხსენებით დაემკვიდრებინა ამ ქვეყანაში. იმას ის აწუხებს, რომ გაველილს ცხოვრების სურათში ერთს სარგებლიანს საქმესაც ვერ ჰხედავს. ის სითვალ-ხარბით ნატრულობს თავის სიყმაწვილის დაბრუნებას; მაგრამ ამაოა იმისი ნატერა. იმას თავის სიბერის დღენი უსიამოვნოდ წინ მიუბრუნა. ტბილი სიბერე მხოლოდ იმისია, რომელსაც თავის ცხოვრებაში გონიერად უშრომია და სიბერის დროს შეჰხარის თავის შრომის ნაყოფსა. იმისთვის ყოველი ახალი წელიწადიც სამხიარულოა, რადგანაც ძველი წლის ნაყოფი ხელში უჭირავს და ახალი წელიც მომეტებულს წარმატებას ჰპირდება. ძალი, რომელიც გარეწრათ და უშრომით ატარებს თავის ცხოვრებას, იმისთვის ყოველი ახალი წელიწადიც სატირალი და სამწუხაროა, რადგანაც ძველი წელიწადი უნაყოფოთ გაუტარებია და ახალიც მხოლოდსიცოცხლის დღეებს აკლებს. იმას სასარგებლო შრომის იმედი არა აქვს, ამიტომ რომ იმისი გართული და დაზარალებული ცხოვრება კარგს საქმეზედ ხელს ვერ მოაკიდებინებს... ჩვენს წარსულს ცხოვრებაში ძალიან ცოტაა ნაყოფიერი და კეთილი მონაქმედი. მანსაკუთრებით ახლანდელს დროს უფრო გვიმართებს შრომაში განვითარება. ბევრი იმისთანა თავმინებებული საქმეა ჩვენს ცხოვრებაში, რომ, თუ იმათ ყურადღება არ მივაქციეთ და ხელი დროზედ არ მიეყვით, სხვა ცუდი შემთხვევაც რომ არ გვექნას, მართა ამ საქმეების თავმინებება მოგვითრის ძირსა. ახლა უნდა გამოვიკითხოთ ეს რა საქმეებია?... რაც არის, ამას შემდეგ მოგახსენებთ.

მცხოვრებთ ან უცხო-ქვეყნებს მიჰმართეს, ანუ იხილავდნენ იქვე სილარბეში და შეეწირებინათ. წარჩინებული ფრანკუზის ისტორიკოსი სიმონდი ამბობს თავის „იტალიის რესპუბლიკების ისტორიაში“, რომ გამგებანი შემთხვევის შემთხვევით ყოველის მხრით იკრიფებოდნენ და მენეციის დროშის ქვეშ იბრძოდნენ.

ძანდამ მიიღო დიდი მონაწილეობა 1821 წლის ადგომაში, როდესაც საბერძნეთმა იუყო ბრძოლა ოსმალეთთან, მაგრამ სამა მფარველმა სახელმწიფომ არა ვითარე ყურადღება არ მიაგო კანდიელების მხრით მოთხოვნის თავისუფლებას და არ შეაერთა ისინი საბერძნეთთან: ეს ბედკრული კუნძული ჩაუგდეს ხელში ეგვიპტელებს და თურქებს. აქ ადგილია უჩველეთ შემოკლებით პალმერსტონის სიტყვა, რომელიც იმან სიტყვა 16 თებერვალს 1830 წ. ძანდიის საქმის გამო ანგლიის პარლამენტში. ის სიტყვა დავანახებ, როგორც ხოველათ ესმოდა იმას საბერძნეთის მდგომარეობა და ან რა გეარათ აღსრულდა იმისი სიტყვები, როდესაც ამათ შევადარებთ აწინდელს მდგომარეობას ძანდიისას. პალმერსტონი ამბობს: „რაც რომ აქამოდ ღირს-პატივცემულმა მინისტრმა (პილმა) ძანდიის საქმეზედ პარლამენტს მოახსენა, ძალიან საკმაო არ არის. ამოდ ცდილობს ის დავიშტყოს, ვითომც ძანდიის შეერთება საბერძნეთთან არ შეადგენს არა ვითარს საქორეობას ამ ქვეყნის კეთილ-დღეობისთვის და დამოკიდებულებისათვის. მისაც კი ცოტათ მაინც ესმის საქმის გარემოება, ის დარწმუნებულია, რომ პოლიტიკური არსებობა საბერძნეთისა დამოკიდებულია ძანდიის კუთვნილობაზედ. საბერძნეთს უნდა მიეცეს ღონისძიება, რომ თავისს მფობელს არ შეეჯახოს, და ამისთვის იმას ხელში უნდა ეჭიროს ძანდია—ბუნებითი მოსაგერებელი პოზიცია სამხრეთით. ის კუნძული რომ ოსმალეების ხელში ღარჩეს, იმათ ბერძნები ყოველთვის უიშქვეშ ეყოლებათ. ოსმალეები უკანონო ფლობენ ძანდიას და ისინი იქ, რაც უნდათ, იმას შერბობენ; ამას ჩვენ გულ-გრძელათ შეეყურებთ. თუ ძანდია ღარჩება ოსმალეთს, ვის შეუძლიან დავეარწმუნოს, რომ იმისნი მცხოვრებნი შეურყეველათ იკისრებენ იმ უღელს, რომელსაც იმათნი მამანი ებრძოდნენ? ზანაწილება საბერძნეთისა და ძანდიისა შეუძლებელია: ეს საშინაო თვითოყულის იმათ-განის არსებობისთვის. ან გგონიათ, რომ საბერძნეთის კაროლი შეიძლებს თავი შეიკავოს, რომ თანაგრძნობა არ უჩვენოს აფიკის ერთს—ტომს ხალხს, როდესაც ის ტანჯვაში და ვაებაშია? თუ კაროლი მონაწილეობას არ მიიღებს კანდიელების ბრძოლაში, მაშინ ბერძნები თვითონ ეერ მოითმენენ, რომ დაჩაგრულს ძმებს ხელი არ მიაშველონ. მე ამას გაგებდავ და გეტყვი, რომ თუ ძანდიას არ დაუბრუნებენ საბერძნეთს, მაშინ, ამ კუნძულის გამო, ანგლიასა და რომელსამე მეროპის სახელმწიფოს შორის ასტყდება ბრძოლა...“

—ანგლიის გაზეთი Times შეწუხებულია იმ ხმოანობისაგან, ვითომც უკანასკნელს დროს ოსმალეთის მმართველობას დიდის საყვედურით შენიშნა მიეცეს საბერძნეთის მმართველობისთვის; ამას შემდეგ შესაძლებელია, რომ ათინასა და ძოსტანტინოპოლს შორის აშლა ასტყდეს. თუმცა Times გრძნობს, რომ აღმოსავლეთისთვის ახლა ნაღდილათ ცელილება იწყება, მაგრამ ის კიდევ დარწმუნებული არ არის, რომ ორმა მოღვე მხარეებმა ბრძოლა აუტეხონ ერთმანეთს; მართალია, კაროლის ბიარგის მდგომარეობა ძალიან საძნელოა, როდესაც მთელი ხალხი ენტუზიაზმს გაუტაცნია და ღელავს, როდესაც ის ხედავს, რომ რამდენი სამე საათის მანძილზედ იმისნი ერთ-ტომნი იღუპებიან ბრძოლაში მუსულმანებთან, მაგრამ ესეც უნდა ვთქვათ, რომ კაროლი

თავს უნდა იჭერდეს იმ პასუხის-გებითა, რომელიცა ჩავარდება, თუ პირველათ იმან მისცა ბრძოლის ნიშანი. ოსმალეთზედ კი ეს უნდა ვთქვათ, რომ იმას უფრო უნდა ედნელებოდეს გამგებლობა. „პორტამ იცის, განაგრძობს Times-რომ იმის მეროპის სამფლობელოში მუსულმანები მხოლოდ მეოთხედს წაწილს შეადგენენ; არც ის უნდა იყოს იმისთვის საიდუმლო საქმე, რომ რუმინია მხოლოდ შემთხვევას ელის, რომ დაარღვივოს ის უკანასკნელი ქვეშევრდომობითი კავშირი, რომლითაც ის დამოკიდებულია ოსმალეთის მმართველობასთან; სერბია ძალიან ხელს იმართავს, რომ თავისი პოლიტიკური თავისუფლება აღადგინოს. ოსმალეებმა კი ხანია თვითნათის თავის რწმუნება დაკარგეს და ის სახელმწიფოები, რომელნიც იმათ მეგობრობენ, მხოლოდ იმ პირობით უჩვენებენ იმათ მფარველობას, რომ არავითარი მიზეზი არ მისცენ იმათ საქმეში გარეგნისა გარეგან, რომ თვითონვე იძიონ ღონისძიება თვითნათის თავის დაცვისა; ერთის სიტყვით, რომ ნელ-ნელათ, მაგრამ აუცილებლათ თვითონ ამოუთხარონ თავის თავს ჯურღმული. „სწეულს კაცს“ ორ-გვარი პერსპექტივა უდევს თავის წინაშე: ან ძალადობითი სიკვდილით მოკვდეს—გარეგანის მტრების ხელით, ან ბუნებითი სიკვდილით—ზინაგანის განხეთქილებით. ოსმალეთის ძალა ისე სუსტი არის, რომ ძირისთვის ვერა დაუკლიარა და ახლა ოსმალეთშიც მოძრაობა იწყება; ჩერნოგორია და სერბია მზათ არიან, რომ აღდგენონ. ამაზედ უიმედო მდგომარეობის მოფიქრება ძალიან ძნელია! Times-ამბობს, ეს მიზეზები საქმეა, რომ პორტამ თავისი რისხვა შეიკავოს. თუნდა რომ კიდევ აღიძრას ომიანობა ოსმალეთსა და საბერძნეთის შორის, მეროპის სახელმწიფოების ინტერესი არ მოითხოვს, რომ ამ საქმეში ისინი გაერივნენ... ერთის სიტყვით Times სურს, რომ მეროპამ დაიცვას აღმოსავლეთის ბრძოლაში სრული ნეიტრალიტეტი. ანგლიაზედ კი ამას ვთქვარობთ, რომ ის ყველაზედ ბოლოს გაერევა საზოგადო ბრძოლაში, თუ ეს ბრძოლა მოხდება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ოსმალეთი უნდა დაირღვეს და ამისთვის უფრო უნდა იქნება, რომ ეს ან შევაცნოთ და ან ავაჩქაროთ: დეე საქმე ისე იწარმოვს, როგორც გარემოება მოითხოვს. თუმცა დიდი იმედი არა გვაქვს არც ბერძნებზედ, არც რუმინებზედ და არც სხვა ტომებზედ, მაგრამ ჩვენი სურვილი ის არის, რომ მხოლოდ იმათ დამიკედრონ, რაც პორტამ უნდა დაჰკარგოს და რომ ისინი უფრო და უფრო აღორძინდნენ შემძლებლობით, ერთსულობით და სიბრძნით, ასე რომ შეიძლოს იმ სახელმწიფოებს წინააღმდეგენ, რომელნიც მოინდომებენ აღმოსავლეთის საქმის ხელში ჩადგებას.

—Times-ი დიდს თანაგრძნობას უცხადებს ბერძნებს ახლანდელს იმათს გაჭირვებულს მდგომარეობაში. ის გაზეთი ამბობს: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თვით კანდიელებმა მოახდინეს ის საშინელი არაკადის მონასტრის საქმე და არა სხვებმა. ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ მთელი ოსმალეთში ქრისტიანები დიდათ განრისხებულნი არიან ოსმალეთის მმართველობაზედ. მგონებთ, რომ ბრძოლა იმდენათ ძლიერი შეიქმნას, რომ ოსმალეთს ბოლო მოუღოს.“ Times-ი დიდათ ჰკიცხავს შრანციის გაზეთებს, რომლებიც შეურაცხყოფენ ანგლიის აგენტებს, რადგანაც ესენი კანდიელებს შემწეობას აძლევენ. ის გაზეთი ამბობს, რომ „ანგლიის სრულებით არა სწადდა აღმოსავლეთის საქმის ფეხზედ წამოყენება. თუ მთავრესა და ჯვარს შორის ასტყდა სასიკვდილო ბრძოლა, არასდროს არ დავიწყებთ, რომ ჩვენ ქრისტიანები ვართ და არა თათრები; ჩვენ მომეტებულით თანაუგრძნობთ ბერძნებს და არა თა-

თრებს. ჩვენ გვიყვარს საბერძნეთის ხალხი წრფელი გულით; ამას ამტკიცებს ერთის მხრით ის, რომ ჩვენ დაუთმეთ საბერძნეთს იონიის კუნძულები, მეორე მხრით ის, რომ უარი გამოვაცხადეთ საბერძნეთის გეოგრაფიკულ, რომელიც ეძლეოდა ერთს ჩვენს პრინციპს.“

—ოსმალეთში ხალხი აღელვებულია. აგრეთვე მზარაში ოსმალეებსა და ბერძნებს შეტაკება მოუხდათ. ათინაში შესდგა ოსმალეთის კამიტეტი, რომლის თავმჯდომარეთაც არის ათინის მიტროპოლიტი და უფინდესის სინოდის თავმჯდომარე მეთოფილე; ამ კამიტეტის წევრებათ ირაცხებიან გენერალი პეტროსი, რიზოსი, შრანგაბესი, უნივერსიტეტის რექტორი, ამავე უმაღლესის სასწავლებლის ორი პროფესორი, ერთი ეპიკლი და ორი დეპუტატი სახალხო კრებიდამ; ერთი იმათგანი არის სპირიდონ ძარასკაკისი; ეს არის შეილი ერთის სახელგანთქმულის გმირისა, რომელიც იბრძოდა 1821 წ. საბერძნეთის თავისუფლებისთვის.

საბერძნეთში. ანგლიის და საბერძნეთის კამიტეტის დაწესება ლონდონში და ათინაში. ზაზეთში Allgemeine Zeitung-ში ათინად სწევენ: „მოვიდა თუ არა ლონდონიდან ტელეგრაფმა, აქ რამდენისაზე საათის განმავლობაში შესდგა ანგლო-საბერძნეთის კამიტეტი, რომელიც დიდს საზოგადოებას აღმოუჩენს ძანდიას და აღმოსავლეთის საქმეს კარგათ წარმართავს. დაწესდა კამიტეტი, რომლის თავმჯდომარეთაც არის ლონდონის არქივისკოპოსი და რომლის წევრებათაც არიან ლორდები და სხვა პირნი იმ განზრახვით, რომ ფული შეაგროვონ და შემწეობა მისცენ კანდიელებს. ამ ტელეგრაფით გვაცნობენ, რომ ლონდონის კამიტეტის წევრებათ ირაცხებიან უ. ტრიკუპი, რომელმაც დაწერა ისტორია 1821 წ. ომზედ საბერძნეთის განთავისუფლების გამო, და რომლის მამაც იყო საბერძნეთის დესპანად ლონდონში, და ამას გარდა უ. მერლინი, ანგლიის ეპიკონსული ათინაში.“ ამ შემთხვევებულს პირებს სთხოვენ, რომ სხვებიც შეიმზანგონ და დაწესონ ანგლიის და საბერძნეთის კამიტეტი, რომელიც მიიღებს ანგლიელებისაგან შეწირულს ფულს და საქორებაში მოიხმარს. ის გვიმტკიცებს, რომ ანგლიის ოსმალეებზედ გული გაუცივდა და თანაუგრძნობს ბერძნებს და იმათ მონათესავე ხალხებს.“

იტალია. პაროლი მიტრო-მმანუილის პირველმა მინისტრმა, ბარონმა რიკაზოლიმ გამოსცა ერთი შესანიშნავი დოკუმენტი, რომელზედაც შრანციის გაზეთებს გაცხადებული ბაისი აქეთ. მოვისენებთ ჯერ რა საგანზედაც იყო დაწერილი ეს დოკუმენტი. ამ უკანასკნელს დროში იტალიის მმართველობამ გამოსცა ბრძანება, რომ იმის მოწინააღმდეგე პრელატებს შეუძლიანთ თვითნათს ეპარქიებში დაბრუნება, მაგრამ იმ ეპისკოპოსებს, რომლებიც რომში გადასახლდნენ საცხოვრებლად არ ეგონათ, რომ ეს მმართველობის განკარგულება იმათ შეეძება. ამისთვის იმათ შლორენციას მიჰმართეს. ბარონმა რიკაზოლიმ გამოუცხადა იმათ, რომ ისინი ტყუილად იქნეულბენ და გამოსტყვა ვრცლად თავისი აზრი, თუ რა რიგი ურთიერთობა უნდა იყოს სახელმწიფოსა და ეკლესიის შორის. ის აცხადებს, რომ, თავისუფალი ეკლესია თავისუფალს სახელმწიფოში უნდა არსებობდეს. ამ შემთხვევაში იმას დიდათ მოსწონს ის წესი, რომელიც არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ წესს ის უმაღლეს იდეალათ რაცხს და მხურვალეთ ჰსურს, რომ ამ გეარევე წესი დაამკვიდროს თავის სამშობლო ქვეყანაშიც. სხოვლად გამოხატავს ის, თუ რა რიგათ შეუეწირობელია იქ სარწმუნება, იქ, სადაც კათოლიკეების ეკლესიასთან აღიმართება პროტესტანტების ტაძარი, მუსულ-

მანების მეჩეთი და ჩინელების პაგოდა (*). ის განაგრძობს, რომ აქ ყველა სარწმუნოებას ერთგვარი უფლება უნდა მიჰმართეს. სარწმუნოებრივი განხეთქილება იტალიაში მოისპობა მაშინ, როდესაც მმართველობა მიანიჭებს ყველა სარწმუნოებას ერთ გვარს სიმართლეს და თავისუფლებას; როდესაც ის არ მოაკლებს თავის მფარველობას არც ერთს, რომლის სარწმუნოებაც უნდა იყოს, ოღონდ კი ეს სარწმუნოება არ იყოს დამარღვეველი საზოგადო ზნეობისა და მშვიდობიანობისა. თქმა არ უნდა, რომ ამ აზრს ბევრი დიდის თავგანწირულებით წინააღმდეგა და ბევრმა დიდათ მოიწონა. ძლერიკალურს (***) გაზეთებს არცკი უნდათ თავში გაიტარონ ის აზრი, რომ საკათოლიკო ეკლესია სხვა ეკლესიებს გაუთანასწოვრდეს. ერთის სიტყვით, რიკაზოლი დიდათ აქებს იმ სარწმუნოების წესს, რომელიც არსებობს შეერთებულ შტატებში; მაგრამ ესეც არის, რომ ეს წესი ჯერ მკვიდრად ვერ დამყარდება იტალიაში, რადგანაც ის იმდენათ არ არის განათლებული, და ამას გარდა იმისი მდგომარეობა დიდათ განსხვავდება ამერიკის შტატების მდგომარეობისაგან.

— 29 ოკტომბერს პაპმა თავის სიტყვაში სხვათა შორის წარმოსტყვა, რომ ის გამოსცემს მიწერ-მოწერას, რომელიც იყო რომის კარისა და რუსეთს შუა. პაპმა მართლა გამოვიდა ეს მიწერ-მოწერა, რომელსაც შემდეგი სათაური აქვს: „საბუთიანი მოთხრობა მტკიცე მზრუნველობაზედ მისი ყოვლად-უწმინდესობის პაპის პიო მეცხრისა შესამსუბუქებლათ იმ განსაცდელისა, რომელიც საკათოლიკე ეკლესიას რუსეთის საბძანებელში აღგია“. ის საბუთების კრება შეადგენს ერთს დიდს წიგნს, რომელსაც 313 გვერდი აქვს. წიგნი დაიწება მოლაპარაკებით, რომელიც რუსეთსა და რომს შუა იყო კონკორდატის (***) შეკერის წინეთ 1847 წ., და გათავდება იმ აუდიენციის აღწერით, რომელიც შარშან წინ 27 დეკემბერს რუსეთის დესპანს ბარონ მეინდორფს პაპთან ჰქონდა. აქვე არის მოხსენებული შემთხვევები, რომლებიც მოხდნენ ხელმის (პოლშაში) ეპისკოპოსის ძლინსკის გამოყვანისა და სიკვდილის დროს. ამ წიგნის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ პიო მეცხრე იძულებულათ რაცხს თავის თავს ამ საქმისა გამო მიმართოს საჩივრით მეროპისა და მთელის ქვეყნის საზოგადო აზრსა.

ტ ე ლ მ გ რ ა მ მ მ ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

პარიში, 16 (28) დეკემბერს. ღლეს მონიტორში აცხადებენ, რომ 4 (16) ოკტომბერს, აღმირალმა როზმა დაიპყრა ძორის ქალაქი ძონგზოუ. 7 (19) ოკტომბერს იმან უზასუნა ძორის კაროლს და აცნობა ის პირობები, რომლებიც დააკმაყოფილებენ შრანციის მმართველობას. 10 (22) ოკტომბერს აღმირალი როზი თავისის ესკადრით ძონგზოუს იმყოფებოდა.

16 (28) დეკემბერს. საღამოს მონიტორში შენაიდა იწერებიან, რომ ძორის კაროლთან მოლაპარაკება კეთილ საიმედოთ წარმოებს.

ლონდონი, 18 (30) დეკემბერს. მზუ-ადლის სამს სათზედ ცეცხლი წაეკიდა ბროლის სასახლეს. ამ სასახლის ჩრდილოეთის მხარე თითქმის სრულებით გადაიწვა.

პორუშ, 14 (26) დეკემბერს. ბუშინ აქ მოვიდა ოთხი სამხედრო ხომალდი და საგა-

(*) პაგოდას ინდოელები ჩინელები და სხვა სამხრეთის აზიის ხალხები ეძახიან სალოცავს ტაძარს.

(**) ძლერიკალი—ბერძნული სიტყვა, ნიშნავს სასულიერო წოდების მომხრეს.

(***) კონკორდატი ლათინური სიტყვა და ნიშნავს პირობას, რომლითაც სახელმწიფო შეეკერის პაპს სარწმუნოების შესახებ საქმეებზედ.

ლი შეიშადა. ღღეს შეიღი მსმალეთის სამხედრო გემი განმგზავრა ჩანდისა.

მესსალიაში არეულობა თანდათან ვრცელდება. მანდგამილბმა ამოიჩინეს თავის წინამძღვრათ საბერძნეთის პოლკოვნიკი მელი.

რომი, 18 (30) დეკემბერს. პაპამ თავის წიგნში მადლობა გამოუცხადა აზნაურების კამიტეტს, რომელმაც პაპის ტახტის დასაცველად განკარგულება მოახდინა, რომ აზნაურები დაეხმარნენ პაპს ყოველს შემთხვევაში. პაპამ გამოაცხადა, რომ ის ამითი ისარგებლებს.

პარიში, 18 (30) დეკემბერს. ღღეს მონიტორში აცხადებენ, რომ ოცდაათი ხომალდი კიდევ გაიგზავნა შრანციის ჯარის წამოსაყენათ მესიკილამ.

პარიში, 20 დეკემბერს (1 იანვარს). ახალ წლის ღღეს სადილობატო კორპუსმა მიულოცა ნაპოლეონს, რომელმაც უპასუხა: „ახალ წლის ღღეს გაძღვეს შემთხვევას გამოცახადო წადილი ხემწიფეების ტახტების დამყარებაზე და ხალხების კეთილ-დღეობაზე. მე იმედი მაქვს, რომ ამ დღით დაიწყება მშვიდობიანობის და თანხმობის ახალი ერა; იმედი მაქვს აგრეთვე, რომ საქვეყნო გამოფენა შემწეობას ამოუჩენს ხალხების გულის-თქმას და დამშვიდებს მათ ინტერესების დაახლოებას. მე თქვენა გთხოვთ, უთხრა ნაპოლეონმა ელჩებს, გადასცეთ თქვენ მმართველობებს ჩემი მეგობრული გრძნობა.

ათინა, 18 (30) დეკემბერს. რუსის სამხედრო გემმა პირეში მოიყვანა 1200 ქალი და ყმაწვილი ჩანდიდგან.

ოსტანტინეპოლი, 20 დეკემბერს (1 იანვარს 1867) მსმალეთის მთავრობა თანახმა გახდა, რომ რუსეთის, შრანციის და ანგლიის სამხედრო გემებმა საბერძნეთში გადიყვანონ ქრისტიანების ცოლ-შვილი, რომელთაც უნდათ გადასახლება ჩანდიდამ.

პორუშ, 20 დეკემბერს (1 იანვარს) მპირში დიდი მოძრაობაა. ამ მსმალეთის მპირაში დროებითი მმართველობა შესდგება.

ალშირი, 23 დეკემბერს (4 იანვარს 1867) წ. ღღეს, დღით 2 საათზე, ალჟირიაში დიდი მიწის ძვრა მოხდა. ზღიდის ქალაქს დიდი ზარალი მიეცა. რამდენიმე სოფლები თითქმის სულ დაიქცა. სოფელს მონციაიველს 37 კაცი მოკვდა და 100 კაცი დაშავდა. ეს მიწის-ძვრა ალჟირის ქალაქშიც იყო.

თფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 29 დეკემბერს. ღვუტუტო პალატამ მაშინგრონის კონგრესში 68 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 38 განაწესა, რომ დაინიშნოს კამიტეტი, რომელიც გამოიძიებს პრეზიდენტის ჯონსონის მოქმედებას და იმ სჯულის დარღვევებს, რომლებიც იმან მოახდინა. პრეზიდენტმა გამოაცხადა თავისი უთანხმოება იმ ბილზედ, რომელიც კონგრესმა მოიწონა და, რომელიც ნებრებს მინიჭებს მონაწილეობას აღმორჩევაში.—იტალიის მმართველობას და პაპს შორის მოლაპარაკება ებსკოპოსების დანიშვნაზედ გათავდა. მისკოპოსებს დანიშნავს პაპა იტალიის მმართველობის თანხმობით.—იმპერატორს მაქსიმელიანეს მტკიცედ განუზრახავს მესიკაში დარჩომა. ის მოუწოდებს სანაციონალლო კონგრესს, რომელშიაც წარმომადგენელობა ექნებათ ყველა საპოლიტიკო პარტიებს. კონგრესი გულდადებულს ყურადღებას მიაქცევს სახელმწიფოს მდგომარეობას.

პეტერბურგი, 2 იანვარს. პოსტანტინეპოლიდამ იწერებინა, რომ მსმალეთის მმართველობა აპირებს 150 ათასი რედიფების შეკრებას, რადგანაც ძალიან მოსალოდნელია, რომ აღმოსავლეთში და ჩრდილოეთის მეროპაში მოხდეს დიდი საქმეები. მესსალიაში დიდი მღელვარებაა. მსმალეებმა შეიარაღდეს ალბანელები და გზავნიან ჯარებს მესსალიაში

და მპირში. ჩანდიაში ოსმალეები ვერ იმარჯვებენ.—ზამოიკა უმაღლესი უქაზი, რომელიც შეიგება სახელმწიფო ქონებების სამინისტროს მდგენილების შეცვლას და შემოკლებას და აგრეთვე იმის ქვეშევრდომ გუბერნიების ადგილობრივ დაწესებულებებს. სტაეროპოლის სახელმწიფო ქონებების პალატა დარჩება ისევ უწინდებულად. უმაღლესად ნაბრძანებია, რომ 1 ის იანვრიდამ ეპატოთ ყოველ გვარი გარდახდენინება იმ თანამედროვე გამოცემებს (ე. ი. გაზეთებს), რომლებიც წინაგამთხილებელს სასჯელს ქვეშ იმყოფებიან. პეტერბურგში დაწესდა საზოგადო საქალაქო ტელეგრაფი.

პეტერბურგი, 5 იანვარს. მსკოვის სასულიერო წოდებამ ქრისტიანების სასარგებლოთ ხელის მოწერით ფულის შეგროვება დაიწყო. უცხო ქვეყნის საქმის მსმალეთის მინისტრმა ალიფაშამ მფარველ-სახელმწიფოებს გაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც პორტა უჩივის საბერძნეთის პოლიტიკას.

პეტერბურგი, 7 იანვარს. პოსტანტინეპოლიდამ გაცნობებენ, რომ ოსმალეები დრტინენ რუსის ელჩზედ, რომელიც პორტასთან მდგომარებს, იმისგანა რომ რუსის სამხედრო გემებმა სიკვდილიდამ იხსნეს კანდიელების ცოლ-შვილები, თუქცა ელჩის განცხადება პარახოდის „ტამანს“ გაგზავნის დროს, პორტისათვის საკმაყოფილო იყო. პორტამ გამოაცხადა, რომ ჩანდიის კუნძული ბლოკადაშია. ჩანდიაში ხალხის ადგომა ყოველგან გავრცელდა. ისმის, ვითომც შრანცია წინააღმდეგი იყოს კანდიის შეერთებაზედ საბერძნეთთან, რადგანაც იმას სურს ამ კუნძულის მიცემა მეგობრების, რომლისგანაც მოელის სამხედრო ხომალდების სადგურს სუეზის პორტში. ჩანდიაში ელიან აშლას საბერძნეთსა და მსმალეთს შორის. მსმალეები აგრეთვე რედიფის ბაზიზუზუყების და ალბანელების ჯარს.

ისტორია სიუნისა, შედგენილი სტეფანე მრბელიანისაგან და სომხურიდამ ნათარგმნი მ. ბროსესაგან.

Histoire de la Siounie par Stéphanos Orbélian, traduite de l'arménien par M. Brosset, II livr. 1864—1866. S.-Petersbourg.

შოველს მეცნიერებაში პირველი საქიროება ის არის, რომ ვიდრე ის საფუძვლიანათ დაარსდებოდეს, ჯერ უნდა შემოიკრიფოს იმისი მასალები. ამას უნდება დიდი დრო. ეს არის მიზეზი, რომ თუქცა საფუძველი მეცნიერებისა ძველათვე დაიდო, მაგრამ დიდი ხანი არ არის, რაც მომატებული ნაწილი იმისის შტოებისა დამყარდა. ამ მდგომარეობაშია ისტორია. ჯერ უნდა შეგროვებულიყოს იმისი წყაროები, ფაქტები, რომელიც გადმოგვცეს საკუთარის ქვეყნის და უცხო—ტომის მწერლებმა. იმათში მრავალი ზღაპარ—სიტყუარბაა, სიტყუევი; ამისთვისაც უნდა ისინი გაიჩხრიკოს, გაირკვიოს ისე, როგორც ისტორიული კრიტიკა მოითხოვს. შამისოთ ისტორია არ არის ისტორია. რა საკვირველია, ძნელი იმი-რაღაც იმისს ნამდვილს საგანს შეადგენს, იმაზედ ამ დრომდე საზოგადოთ ყურადღება მიქცეული არ იყო, ესე იგი, ხალხის შინაგანს ცხოვრებაზედ: როგორც ცხოვრებდა ესა და ეს ხალხი გავლილს დროებში, რა გავლენა ჰქონდა იმისს ხასიათზედ, იმისს ყოფ-ცხოვრებაზედ, იმისის ნიჭიერების და ზნეობის მმართველობაზედ კლიმატს, სხვა და სხვა გვარს დამოკიდებულებას სხვა და სხვა ტომთან, რა

(*) ბაზიზუზუყი მსმალეთის მილიცია, რედაფი ოსმალეთი ჯარია, რომელიც ხუთმეტის წლით შეიკრიბება სასამსახუროთ.

და რა ცვლილებაში შესულა ისა ამ გავლენილების გამო, ყოველსავე ამაზედ ჩვენ ჯერ ან არა გვაქვს ცნობა, ან ძალიან მცირე... მაშასადამე, არ უნდა გვიკვირდეს, რომ განათლებით მოწინავე ხალხებშიაც ბევრს ვერ ვპოულობთ, რომ ნამდვილი ისტორია ჰქონდეთ... მითი იმათში მასალები, ფაქტები ჯერ კიდევ გროვდება.

რაც აქ ითქვა, ის ჩვენ მხარესაც მიეწერება. რაღა ექვი უნდა, რომ ჩვენ ისტორია არა გვაქვს. დიდი დროც გაივლის, ვიდრე ის საფუძვლიანათ შესდგება. ჩვენ სანუგეშოთ, ეს კი უნდა ეთქვას, რომ საქართველოზედ ძველათვე ბევრი უწერიათ, ჩვენებსაც და უცხო-ტომთაც. იმათის მოთხრობების შეკრეფა, განხილვა,—აი ჯერ ჩვენ რას უნდა შევუდგეთ. მსეც უნდა გვახსოვდეს, რომ ეს საქმე დაწყებულია,—ვისგან? ნუ გგონიათ ქართველისაგან! დაწყებულია იმ ტომის შეილისაგან, რომელიც თითქმის მოწინავე ტომს შეადგენს მთელს მეროპაში—ფრანკოზისაგან. ჩვენ ვამბობთ უ. ბროსსეზედ. ბროსსე ჯერ ღირსეულათ არ არის ჩვენგან დაფასებული. იმან ასეთი ღვაწლი დასდო საქართველოს, რომ დაუფიქსარი უნდა იყოს იმისი სახელი ჩვენთვის და ჩვენის შთამომავლობისთვის. იმან კარგა ხანია ხელი მიჰყო ქართულის ისტორიის წყაროების გამოცემას და ისეთს წარმატებაში შეიყვანა ისა, რომ უნდა გვიკვირდეს, როგორ შეიძლო ერთმა კაცმა ამოდენა შრომა. მუხენოთ აქ სხვათა შორის, უფრო შესანიშნავი იმისი მოღვაწეობა. ბროსსემ გამოცა საქართველოს არხეოლოგიური აღწერა: აქ შეკრეფილია და გარკვეული მომატებული ნაწილი წარწერებისა, რომელნიც ჩვენის მხრის ტაძრებზედ და ხატებზედ იპოვებიან. იმან გამოცა ჩამდგენსამე დიდ ტომებთა ძართლის-სხოვრება, რომელშიაც შემოტანილია ჩვენის და უცხო-ტომთ მწერლების თქმულება სხვა და სხვა საქართველოს დროზედ; ამ შრომაშივე გარკვეული ერთისა თუ მეორის ეპოქის ქორანიკონები, გუჯრებისა და სიგლების თქმულებები რომელსამე დროზედ, შინაგანს ყოფა-ცხოვრებაზედ. ბროსსემ გამოცა აგრეთვე მახუშტის ჩინებული გეოგრაფია. შოველივე ეს შრომა, რომელიც ჩვენ ვუჩვენეთ, ფრანკოზულს ენაზედ არის. მხოლოდ მახუშტის გეოგრაფია არის ქართულის ტექსტით და თვით ძართლის—სხოვრებაც ცალკე ქართულს ენაზედ: უკანასკნელს არა აქვს ის დამატებები, რომელნიც შეამკობენ ფრანკოზულს თარგმანს.

1864—1866 წ. ბროსსეს დაუბეჭდია კიდევ ერთი შესანიშნავი წიგნი, რომელიც სომხურის ენადამ უთარგმნია და რომელიც ძალიან საჭირო იყო ძართლის-სხოვრების შესავსებლათ. ეს შრომა შეიცავს ორს ტომს. ის არის სიუნის ისტორია, დაწერილი სტეფანე მრბელიანისაგან. სიუნი იყო ნაწილი ძველის სომხეთის ქვეყნისა და მდებარეობდა პარატის აღმოსავლეთათ, რახსისა და არწახის მდინარეების საშუალ. სიუნი იყო შემკული მრავლის ეკლესიებით და მონასტრებით; იმას ჰყვანდა თავისი მთავრები, თავისი მიტროპოლიტები; მათ შორის ბრწყინავდა ჩვენი სტეფანე.

სტეფანეს მამა იყო ტარსაიჯი, საქართველოს ათაბაგი და სიუნის ნაწილის მთავარი. ის ეკუთვნოდა მრბელიანების გვარს, რომელიც ამოსწყვიტა 1177 წ. თამარ დედოფლის მამამ, მეფე ბიორგიმ და გადაჩინენ მხოლოდ სამნი: ლიპარიტი და იმისი შვილები ელიქუმი და ივანე. ლიპარიტმა შვილებით მიმართა ილიდგუზ ათაბაგს. მამა აქ მოკვდა; შემდეგ ივანე დააბრუნა საქართველოში თამარამ; ელიქუმი კი ათაბაგის სამფლობელოში დაემკიდრა. სტეფანეს სახლი იყო უკანასკნელის სახლის შთამომავალი. იმის ისტორიაში არის

76 თავი, რომელიც შეიცავს სხვა და სხვა ცნობას—სომხების შთამომავლობაზედ, რმათ გაქრისტიანებაზედ; აქ ამოიკრებოდა ყოველი ანუ რა მნიშვნელობა ჰქონდა სიუნის გვარს ალფანს და სხვა პოეტიკურს; ჩინ-იქსენ უპირველესნი გვარნი სომხეთში, იმათში რომელთა რით ისახელა; აქ უჩვენებს სტეფანე ისტორიას სომხეთის და ალფანის პატრიარქებისას; ერკლათ გვიამბობს ხალკიდონის კრებაზედ, რომელიც მოხდა 451 წ. და რა გვარი განუთქილება აღმოჩნდა ამის შემდეგ სომხებსა და ქართველებს შორის.—ამ ისტორიის ერთს ტომში მოუტყუვია უ. ბროსსეს სტეფანეს შესავსებლათ სხვა და სხვა ახლის მწერლებისაგან გამოცემული სიუნზედ ცნობები—გეოგრაფიული აღწერა, ეკლესიების და მონასტრების წარწერები და სხ.—სტეფანეს ისტორიის ღირსება იქილამ სიანს, რომ იმას სხვა და სხვა წყაროებიდამ შეუკრეფია ცნობები. „ჩემის საგნისთვის მრავალი გამოძიება მოვახდინეთ, ამბობს ისა, მოსაზღვრე ადგილებში და შორეულს ქვეყნებში და მომასტრებში; გამოვკითხეთ მეცნიერებს, რომელნიც ისტორიის მცოდნენი იყვნენ... მე შევკრიფეთ ყველა სომხეთის ისტორიები, სიუნის ეპისკოპოსის პეტროსის თქმულება და სხვა ძველი ცნობები, რომელიც სომხეთის მეფეებს, კათალიკოზებს და სიუნის მთავრებს შეეცებოდა, და რომელიც დაცული იყო კლდე-სამარტებში და ტათევის წმინდა საფარში, პატრიარქის სატახტო ადგილში; მე შევკრიფეთ აგრეთვე წარწერები ეკლესიებისა და წიგნებში ჩართული შენიშვნები...“ (*)

(შემდეგი იქნება.)

სახაზინო განცხადება.

ბევრმა „ღროების“ მკითხველ ვაქრებთაგანმა მოითხოვეს, რომ ამ გაზეთში ყოველთვის დაიბეჭდოს სახაზინო განცხადება. რედაქცია ეცდება ასარულოს ამ გვარი სურვილი თავის მკითხველებისა. ამასთანავე ის საჭიროთ რაცს ხელმძღვრეთ გამოაცხადოს, თუ რა გვართ იქნება დაბეჭდილი „ღროებაში“ სახაზინო განცხადება. რადგანაც ჩვენის გაზეთის სივრცე ნებას არ გვაძლევს, რომ იმაში ყველა სახაზინო განცხადებები ისე ვრცელათ დაიბეჭდოს, როგორც რუსულათ არის დაბეჭდილი „ზაკავკასიის უწყებაში“ (Завкавказский Вѣстник), ამისთვის ჩვენ მოკლეთ გადმოვიღებთ რუსულიდამ ყველა განცხადებებს, რომლებშიაც მოხსენებული ტორგი მოხდება საქართველოში ე. ი. ტფილისის გუბერნიაში და მთათისის სავცენარალ-გუბერნატოროში. ზაზეთში მოკლეთ იქნება მოხსენებული, როდის და სად იქნება ტორგი, რა გვარი და რა ფასის იჯარა გაიცემა, ან რომელი მამული რა ფასათ ისყიდება. მინც „ღროებაში“ წაიკითხავს რომელსამე ტორგზედ და ამ ტორგზედ დასწრებას მოინდომებს, იმისთვის, რა საკვირველია, საჭირო იქნება, რომ ამ ტორგის გარეშობა დაწერილობით შეიტყოს. ამ შემთხვევაში იმან უნდა მიმართოს „ზაკავკასიის უწყებას“, სადაც ის დაწერილობით შეიტყოს ტორგის პირობებს. რომ კაცს არ გაუძნელდეს მოძებნა „ზაკავკასიის უწყებაში“ იმ ტორგისა, რომელზედაც უნდა მიიღოს დაწერილობითი ცნობა, ჩვენ ყოველთვის ვაჩვენებთ იმ წიგნებს „ზაკავკასიის უწყებისა“, რომლიდამაც სახაზინო განცხადება არის გადმოთარგმნილი. „ზაკავკასიის უწყებაში“ განცხადებებს ციფრები რიგით უზის, „ღროებაში“ კი, მოძებნის ვასადელოვლათ, ამის შემდეგ თვითოველს განცხადების წინ ის ციფრი იქნება დასმული, რომელიც „ზაკავკასიის უწყებაში“ უზის ამ განცხადებას. ამნაირათ ვინც რუსული არ იცის, იმისთვისაც ძალიან ადვილი იქნება რომლისამე ტორგის პირობები დაწერილობით შეიტყოს. ამისთვის ის უნდა მიიქცეს რუსულის მცოდნესთან და სთხოვოს, რომ ამა და ამ ნუშერში „ზაკავკასიის უწყებისა“ გადუთარგმნოს ის განცხადება, რომელსაც წინ ესა და ეს ციფრი უზის.—სიდეე ერთი უნდა ესთქვას. „ზაკავკასიის უწყებაში“ ხშირათ სამჯერ დაიბეჭდება ხოლმე ერთი და იგივე განცხადება, „ღროებაში“ კი სახაზინო განცხადება მარტო ერთხელ იქმნება დაბეჭდილი.

(Завкавказский Вѣстникъ за 1867 г. № 3).

2) ჯაკავსიის სამხედრო მკრუფის საინფინერო სამართველოს უნდა იჯარით გასცეს ამ 1867 წელს გაწმენდა ფხის-ადგილებისა და გატანა ნაგავისა ტფილისის და ნეთლულის საზიზინო სასოებდამ, გამოიჩესულია, რომ გაწმენდა ადგილებისა სახაზინო შენობებში, რომელნიც იმყოფებიან ქ. ტფილისის 1, 3 და 4 ნაწილებში, დაჯდება 4130 მან. ხოლო იმ შენობებისა, რომელნიც ნეთლულში არიან, 2460 მან.

ტორგი მოხდება ტფილისში მკრუფის საინფინერო სამართველოს 16 იანვარს 1867 წ. პერეტორეკა 3 დღის შემდეგ მოხდება.

(*) Histoire de la Siounie. I. 4.